

პერსონაჟთა მეტყველების რეგისტრი მიხეილ ჯავახიშვილის
რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და მის ინგლისურ თარგმანში

მარიამ გოგიტიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში
ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული
ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)
მიმართულება: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე (ასოცირებული
პროფესორი, დეკანი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გოგიტიძე

28 ივნისი 2022

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება რეგისტრის ვარიაციულობას ლიტერატურულ ტექსტში და მისი თარგმნის პრობლემას. კვლევაში გაანალიზებულია მიხეილ ჯავახიშვილის რომანში „კვაჭი კვაჭატირაძე“ პერსონაჟების მეტყველებაში იდენტიფიცირებული სხვადასხვა სახის რეგისტრი და ტექსტის დევიდ რეიფილდისეულ თარგმანში რეგისტრის განსხვავებული მარკერების რეპროდუცირების საკითხი.

თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულია მაიკლ ჰელიდის სისტემურ-ფუნქციურ ლინგვისტიკაში შემოთავაზებული რეგისტრის თეორია, რეგისტრის და დიალექტის თარგმნის შესახებ ნელი საყვარელიძისა და დალი ფანჯიკიძის მიერ შემოთავაზებული მოდელები და ჯოზეფ მარკოს რეგისტრის თარგმნის კონცეფცია, რომელიც, თავის მხრივ, ჰელიდის მიერ იდენტიფიცირებულ რეგისტრის ცვლადებს ეყრდნობა (field, tenor, mode).

კვლევის მიზანია რომანში პერსონაჟების მეტყველებაში სხვადასხვა სიტუაციურ კონტექსტში რეგისტრის ვარიაციის ნიშნების და სამიზნე ტექსტში მათი თარგმნის თავისებურებების გამოვლენა. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ტექსტის დონალდ რეიფილდის მიერ შესრულებულ ინგლისურ თარგმანში იკვეთება სტანდარტიზაცია. შესაბამისად თარგმანი მაქსიმალურად მორგებულია სამიზნე მკითხველის მოლოდინებს და რეგისტრის თარგმანში სრულფასოვნად ტრანსპოზიცია არ ხდება.

საკვანძო სიტყვები: *რეგისტრი, დიალექტი, რეგისტრის ვარიაცია, თარგმანი, მხატვრული თარგმანი*

Translating Register Variation: Mikheil Javakhishvili's *Kvachi Kvachantiradze* and its English Translation

Abstract

The thesis provides an overview of register theories and register variation in different situational contexts, register translation methods and, more specifically, register translation problems in literary translation. It explores register translating characteristics identified in the comparative analysis of the novel “Kvachi Kvachantiradze” by Mikheil Javakhishvili and its English translation by Donald Rayfield.

The thesis aims to identify register variation in different situational contexts in the speech of the novel's characters and to identify strategies used by the translator through the lens of the register theory offered by Michael Halliday, as well as translation theories by Neli Sakvarelidze and Dali Panjikidze, along with register translation strategies on Halliday's field, tenor and mode levels, as proposed by Josep Marco. The analysis showed that Donald Rayfield's translation is characterised by standardization. Accordingly, the translation is fully intended towards the expectations of the target readers and register variation is not fully realized in the translation.

The relevance of the research is defined by the lack of research relating to the specificity of rendering register differences found in Georgian literary texts into English.

The thesis consists of the introduction, three chapters and the conclusion.

Key Words: *Register, dialect, register variation, translation, literary translation*

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორ ქალბატონ ნინო მატარაძეს საკვლევი თემატიკის შერჩევისა და ნაშრომის წერის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.